N 04/338
16.06.2023

ბრძანება

338-01-4-202306161404

# გადაწყვეტილება

## 2023 წლის 15 მაისის №01/1587 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

### 1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

#### 1.1 მომჩივანის პოზიცია

2023 წლის 15 მაისს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „მედ ფარმასი გრუპის“ (ს/ნ 206344730) საჩივარი (რეგ. N01/1587), შპს „დოქტორ გუდსის“ (ს/ნ 406265786) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივრის თანახმად, შპს „მედ ფარმასი გრუპი“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედ კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია 2009 წლიდან და ახორციელებს სამედიცინო ქირურგიული მასალების იმპორტს, წარმოებას, სტერილიზაციას. ანალოგიურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა მოპასუხე კომპანია შპს „დოქტორ გუდსი“.

მომჩივანის პოზიციით, მოპასუხე კომპანიის დირექტორი მამუკა ხადური მიზანმიმართულად ახდენს მომჩივანი კომპანიის რეპუტაციის შელახვას სხვადასხვა გზით. კერძოდ, ეს იქნება არასწორი/ცრუ ინფორმაციის სოციალურ ქსელში გავრცელება, თუ მომჩივანის მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტი.

მომჩივანის განმარტებით, ნათლად იკვეთება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის (ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა, მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია) დარღვევის ფაქტი. აღნიშნული გამოიხატება მოპასუხე კომპანიის დირექტორის მიერ შპს „მედ ფარმასი გრუპის“ მიმართ სოციალური ქსელის FACEBOOK-ის მეშვეობით პოსტებისა და კომენტარების გამოქვეყნებაში, ასევე სხვადასხვა ინსტანციებში განცხადებების წარდგენაში, რითაც ხდება მომჩივანი კომპანიის მიმართ რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება.

საჩივრის თანახმად, მოპასუხე კომპანიის დირექტორის ქმედებების გამო მომჩივანს შეუმცირდა საქონლის რეალიზაცია; შპს „დოქტორი გუდსის“ დირექტორის განცხადების საფუძველზე, 2023 წლის 26 აპრილს, საგამოძიებო სამსახურმა შპს „მედ ფარმასი გრუპში“ ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები; 2023 წლის 26 აპრილიდან დალუქულია მომჩივანის საწარმო და ოფისი; 2023 წლის 1 მაისიდან სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაიწყო საგადასახადო შემოწმება; დღეის მდგომარეობით მომჩივან ეკონომიკურ აგენტს შეჩერებული აქვს სამეწარმეო საქმიანობა; დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

მომჩივანმა ეკონომიკურმა აგენტმა, სააგენტოში 2023 წლის 9 ივნისს წარმოდგენილ დამატებით პოზიციაში (რეგ. N01/1922) მიუთითა, რომ საქართველოს ბაზარზე მხოლოდ შპს „მედ ფარმასი გრუპი“ და შპს „დოქტორ გუდსი“ ოპერირებს ერთი და იმავე პროფილით და მომხმარებლისთვის კომპანიის სახელმწოდების ხაზგასმის გარეშეც ნათელია, თუ რომელ კომპანიაზეა საუბარი. ამავე პოზიციაში, მომჩივანი აღნიშნავს მოპასუხე კომპანიის დირექტორის 2022 წლის 2 დეკემბერს BM-GE-ს ტელეგადაცემაში მონაწილეობის ფაქტს, სადაც განაცხადა, რომ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ანტიჰიგიენურ პირობებში, კანონდარღვევით ახორციელებს საქმიანობას ერთ-ერთი კომპანია. ასევე, აღნიშნული ტელეგადაცემის პრეს-რელიზში წერილობით დაფიქსირებულია მომჩივანი კომპანიის დასახელება და მისამართი. პრეს-რელიზის გამოქვეყნების შემდეგ, კლინიკები თავს იკავებდნენ შპს „მედ ფარმასი გრუპის“ პროდუქციის შეძენისაგან.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ მამუკა ხადურის კომენტარები არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან მისი კომენტარებით ხდება ცრუ ფაქტებისა და ინფორმაციის გავრცელება.

**1.2 მოპასუხის პოზიცია**

სააგენტოს 2023 წლის 15 მაისის წერილით (რეგ. N02/1273) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „დოქტორ გუდსს“ (ს.ნ 406265786).

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2023 წლის 29 მაისს (რეგ. N01/1774) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, შპს „მედ ფარმასი გრუპის“ საჩივარი მოკლებულია როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასაბუთებას. შპს „დოქტორ გუდსს“ და მის დირექტორს, მამუკა ხადურს, არ დაურღვევია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი და მათ შორის, არც კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

მოპასუხის აზრით მომჩივანი არასწორად გადმოსცემს ფაქტებს, არ აღწერს რეალურად არსებულ გარემოებებს და ასევე, არასწორად აფასებს მის მიერ საჩივარზე თანდართულ მტკიცებულებებს, რომლითაც უსაფუძვლოდ ცდილობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტის დადგენას.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ კანონის დარღვევის დასტურად მომჩივანს წარმოდგენილი აქვს მამუკა ხადურის პირად სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული კომენტარები. კომენტარებში მამუკა ხადურის მხრიდან გადმოცემულია გარკვეული სახის კრიტიკა, თუმცა არცერთ კომენტარში იგი არ ასახელებს მომჩივან ეკონომიკურ აგენტს. შპს „მედ ფარმასი გრუპზე“ მითითება მამუკა ხადურს არ გაუკეთებია და ობიექტური დამკვირვებლის თვალში შეუძლებელია იმის აღქმა და დადგენა, რომ აღნიშნული კრიტიკა შეეხება მომჩივან კომპანიას. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომენტარები განთავსებულია მამუკა ხადურის პირად გვერდზე და არა შპს „დოქტორ გუდსის“ ოფიციალურ გვერდზე. მამუკა ხადურის მიერ გაკეთებული კომენტარები ძირითადად შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საქმიანობას, ხოლო კომენტარების შინაარსით არ დგინდება რეპუტაციის შელახვა. მომჩივანი ვერ ასახელებს კომენტარებიდან თუნდაც ერთ ციტატას, რომლითაც დადგინდება მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი.

მოპასუხე განმარტავს, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადებები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ და გარანტირებულ უფლებებთან.

მოპასუხის პოზიციით, მართალია მამუკა ხადური არის შპს „დოქტორ გუდსის“ დირექტორი, თუმცა კომპანიას ცალკე გააჩნია სოციალური ქსელი, ხოლო მამუკა ხადურის მიერ, საკუთარ სოციალურ გვერდზე გაკეთებული კომენტარები გამოხატავს მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის პოზიციასა და შეხედულებას, რაც სრულიად ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ფიზიკური პირის მიერ საკუთარ სოციალურ გვერდზე კომენტარების გამოქვეყნებით არ ხდება კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება. კომპანიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ პოზიციის გამოხატვის სურვილის შემთხვევაში, კომენტარები გაკეთებული იქნებოდა უშუალოდ კომპანიის კუთვნილი სოციალური ქსელის გვერდიდან. ამდენად, ფიზიკური პირის მიერ პირად სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული კომენტარები შეუძლებელია შეფასდეს კონკურენტი საწარმოს მიერ დაფიქსირებულ კომენტარად.

მოპასუხის პოზიციით, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომ მომჩივანის მიმართ დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გატარებულია გარკვეული სახის ღონისძიებები, აღნიშნული მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ შპს „მედ ფარმასი გრუპი“ კანონდარღვევით ახორციელებს

საქმიანობას, რაც ექვემდებარება კონკრეტული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საკითხის შესწავლას.

მოპასუხის განმარტებით, შპს „დოქტორ გუდსის“ მხრიდან არ დარღვეულა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის გამოც, შპს „მედ ფარმასი გრუპს“ უარი უნდა ეთქვა საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე.

## 2. ნორმატიული რეგულირება

### 2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის 11³ მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

## 2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის

დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

## 3. სამოტივაციო ნაწილი

### 3.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.[1] როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

აღსანიშნავია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის

---

[1] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II”), გვ. 10.

დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.[2]

შესაბამისად, როგორც აღინიშნა, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[3] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[4] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება[5].

---

[2] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10

[3] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11.

[4] იქვ. § 12

[5] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ

### 3.2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის $11^3$ მუხლის მოქმედების სფერო

შპს „მედ ფარმასი ჯგუფის“ საჩივარში საუბარია კანონის $11^3$ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა საჩივრის შეფასება სწორედ ამ პუნქტის ფარგლებში.

კანონის $11^3$ მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, ეს მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებსაც, რომელიც კანონში 2020 წლის 4 ნოემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, წარმოადგენს სამაგალითო (და არა ამომწურავ) ჩამონათვალს.[6]

განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევის შემადგენლობა, რომელსაც მომჩივანი მხარე სადავოდ ხდის, უშუალოდ მოცემულია ხსენებულ ჩამონათვალში. კერძოდ, კანონის $11^3$ მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია.

ამდენად, კანონის $11^3$ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისთვის და ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემადგენლობის დაკმაყოფილებისთვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:[7]

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

**წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან** - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

---

[6] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანება (შპს ,,ეს.ი.ეი შპს „ბი ეს თის“ წინააღმდეგ), გვ. 19

[7] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის პირველი მარტის N04/55, 2017 წლის 6 თებერვლის N04/31 და 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.[8]

**კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა** - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე  მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

**მომხმარებელთა ინტერესების შელახვა** - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).[9]

---

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

[9] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193  ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

**3.3. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის $11^3$ მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს, არსებობს თუ არა საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, კანონის $11^3$ მუხლის სავარაუდო დარღვევაზეც, მოკვლევის დაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. ყოველი კონკრეტული საჩივრის შემთხვევაში საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ სტანდარტს.

წარმოდგენილ საჩივარში საუბარია მოპასუხის მიერ კანონის $11^3$ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის მიერ საკუთარ სოციალურ ქსელში კომენტარების გაკეთება წარმოადგენს მომჩივანისათვის რეპუტაციის შელახვას და მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას. თავის მხრივ, მოპასუხე კომპანიის დირექტორი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გაკეთებულია საკუთარ და არა კომპანიის სოციალურ ქსელში და ამასთანავე, ადგილი არ აქვს კონკრეტული ადრესატის იდენტიფიცირებას.

საჩივრის მატერიალური შემოწმების ეტაპზე, სააგენტომ გამოიკვლია მომჩივანის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ასევე, კომპანიების მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებები და მოახდინა მათი შეჯერება. შედეგად გამოიკვეთა, რომ **მოპასუხე ეკონომიკური აგენტის დირექტორის მამუკა ხადურის მიერ გაკეთებულ პოსტებსა და კომენტარებში მართალია გადმოცემულია გარკვეული სახის კრიტიკა, თუმცა არცერთ კომენტარში იგი არ ასახელებს მომჩივან ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, ობიექტური დამკვირვებლის თვალში შეუძლებელია იმის აღქმა, რომ აღნიშნული კომენტარები მიმართულია შპს „მედ ფარმასი გრუპის“ რეპუტაციის შელახვისკენ ან მისი კრიტიკისკენ. ასევე, ტელეგადაცემაში მონაწილეობის დროს, როგორც მომჩივანის წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, მამუკა ხადურის მხრიდან არ მომხდარა მითითება კონკრეტულ კომპანიაზე.**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის $11^3$ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას კონკურენტის რეპუტაციის შელახვის გზით. შესაბამისად, ამ ნორმის შემადგენლობის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია, რომ ადრესატი (ვისაც მიემართება ცნობები) საშუალოსტატისტიკური მომხმარებლისთვის იყოს აღქმადი. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის დირექტორის მიერ, მის პირად გვერდზე გაკეთებულია ზოგადი სახის კრიტიკული განმარტებები, რომელიც არ იძლევა იმის იდენტიფიცირების საშუალებას, თუ ვის მიემართება იგი. ამდენად, აღნიშნული განმარტებების შეფასება უნდა მოხდეს არა

საჩივარში დასმული დავის საგნის ფარგლებში, სააგენტოს მიერ აღსასრულებელი კანონის ფარგლებში - არამედ  იმ ჭრილში, კონკრეტულად მამუკა ხადურის მიერ გაკეთებული განცხადებები არის თუ არა შესაბამისი საქართველოს კონსტიტუციასთან და „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. თავის მხრივ, მომჩივანი, რომელსაც აქვს მტკიცების ტვირთი, არ წარმოადგენს სხვა სახის მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი იქნებოდა სადავო ნორმის შემადგენლობის დარღვევის გონივრული ეჭვის წარმოსაშობად.

დამატებით აღსანიშნავია, რომ მომჩივანი საჩივარში ასევე უთითებს, მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში წარდგენილ განცხადებებზე. საყურადღებოა, რომ მომჩივანის მიმართ დაწყებული საგამოძიებო მოქმედებები და სხვადასხვა ორგანოების მხრიდან გატარებული გარკვეული სახის ღონისძიებები არ წარმოადგენს მოპასუხე კომპანიის ბრალეულობას და სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება მიმდინარე დავის ფარგლებში აღნიშნულ უწყებათა დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის შეფასება.

**ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის $11^3$ მუხლთან მიმართებით საჩივარი არ წარმოშობს გონივრულ ეჭვს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების სტანდარტი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.**

## სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის $17^1$ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“  სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი  და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

## სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „მედ ფარმასი გრუპის“ (ს/ნ 206344730) 2023 წლის 15 მაისის №01/1587 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე